http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?variant=2&actId=22319688

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42344339206519

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190447350

რეგისტრაციის თარიღი

23.04.2019 წ

ნოტარიუსი: თამარ დადვანი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბნის I მკ/რ, კორპ.12 მიმდებარედ
ტელეფონი: 593374689

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდასამი აპრილი. მე ნოტარიუსს თამარ დადვანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, მე-12 კორპუსის მიმდებარედ, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, **შპს „ხიმინჯი 2012"-ს (რეგისტრირებული 2012 წლის 19 თებერვალს, საიდენტიფიკაციო კოდი: 406082260, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანის რაიონი, ვაზისუბნის დას., კორ. 26, ბინა 19, მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) დირექტორმა, ამირან ბეგიაშვილმა (დაბადებული 10.08.1959 წელს, პირადი N 01012019532, მისამართი: თბილისი შ.მშველიძის ქ. N 4 ბ. 32),** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **შპს „ხიმინჯი 2012"-ს** შესახებ, მომზადებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge. **განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19009187, 28/01/2019 18:00:54.**

მან მთხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე შევადგინე წინამდებარე მინდობილობა და წავუკითხე მას. მე მას განვუმატრე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს თავისი, როგორც **შპს „ხიმინჯი 2012"-ს** დირექტორის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რის შემდეგაც დავადასტურე წინამდებარე მინდობილობა სანოტარო წესით.

მინდობილობა

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდასამი აპრილი. მე, **შპს „ხიმინჯი 2012"-ს** დირექტორმა, ამირან ბეგიაშვილმა, წინამდებარე მინდობილობით, **ბიძინა ცაცაშვილს (დაბადებული 09.03.1984 წელს, პირადი N 01012021085, მისამართი: თბილისი ა.პოლიტკოვსკაიას ქ. N 3 კორ. 31 ბ. 5)** ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1. იყოს ჩემი, როგორც **შპს „ხიმინჯი 2012"-ს** თბილისის მერიაში, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში, რათა აწარმოოს უძრავი ქონების პროექტირებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები, აწარმოოს მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული საქმეები, მიიღოს და/ან წარადინოს ყველა სახის დოკუმენტი/განცხადება, შეიტანოს დამატება/შესწორება დოკუმენტაციაში, აგრეთვე მიიღოს ყველა საჭირო ნებართვა, ცნობა, მოწმობა და დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურებიდან, საჭიროების შემთხვევაში დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, წარადგინოს/ატვირთოს პროექტი, შეიტანოს ცვლილებები დამტკიცებულ პროექტში, გააგრძელოს ვადა, მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი ნებისმიერი სამსახურიდან, საჭიროების შემთხვევაში უკან გამოითხოვოს ჩაბარებული დოკუმენტები. გადაიხადოს საჭირო გადასახადები, მოაწეროს ხელი და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება დაკავშირებული აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

2. მას უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირებს.

3. მინდობილობა გაცემულია **ხუთი** წლის ვადით.

4. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ დადვანის სანოტარო არქივში და დანართის სახით თან ერთვის:

✓ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მომზადებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის www.reestri.gov.ge. მეშვეობით, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19009187, 28/01/2019 18:00:54.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 10.00 (ათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2.00 (ორი) ლარი თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის. **სულ გადახდილია: 12.00 ლარი (თორმეტი ლარი).**

შპს „ხიმინჯი 2012"-ს დირექტორი ამირან ბეგიაშვილი

ნოტარიუსი თამარ დადვანი